

შპს არქიტექსი-ს ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტით, 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არქიტექსი“

30 სექტემბერი, 2025 წელი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები და მისი შინაარსი:

1. ფინანსური მდგომარეობა 2022, 2023 და 2024 წლების შესადარისი პერიოდებისათვის
2. საქმიანობის შედეგები 2023 და 2024 წლების მონაცემებით
3. შესავალი
4. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა
5. კომპანიის საქმიანობის შესახებ
6. ფულადი სახსრები და სხვა მათი ეკვივალენტები
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
8. ავანსად გაცემული სახსრები
9. მარაგები
10. ძირითადი საშუალებები
11. სხვა აქტივები
12. საიჯარო ვალდებულებები
13. საცაჭრო ვალდებულებები
14. საკუთარი კაპიტალი
15. ამონაგები
16. სხვა შემოსავლები
17. სხვა ხარჯები
18. მოგება (ზარალი)

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	386625	222833	189624
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	252490	258546	262360
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
მარაგები	576354	547346	462225
მზა პროდუქცია	18077	7209	15176
სხვა	558277	540137	447049
საინვესტიციო ქონება	0	0	21
სხვა მოკლევადიანი აქტივები	105469	21059	15289
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	514285	524066	516402
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1835223	1573850	1445921

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	272951	183454	146645
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	6483	23068	22791
საგადასახადო ვალდებულებები	17500	51500	10692
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	133248	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	70376	143689

სულ ვალდებულებები

430182

328398

323817

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')

0 0 0

საემისიო შემოსავალი

0 0 0

გამოსყიდული საკუთარი აქციები

0 0 0

გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)

1405041 1245452 1122104

გადაფასების რეზერვი

0 0 0

საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები

0 0 0

სულ საკუთარი კაპიტალი

1405041 1245452 1122104

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

1835223 1573850 1445921

სულ მოკლევადიანი აქტივები

1320938 1049784 929498

სულ მოკლევადიანი ვალდებულებები

272951 328398 323796

კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები

0 0 0

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

31/12/2024

31/12/2023

ნეტო ამონაგები

1409779 828943

საქონლის გაყიდვიდან

454068 445998

მომსახურების გაწევიდან

955711 382945

სამშენებლო ხელშეკრულებებიდან

0 0

სხვა

0 0

გაყიდვების თვითღირებულება

-96269 -68505

საწყისი მარაგები

0 0

მარაგების შესყიდვა

0 0

გადამუშავების დანახარჯები

0 0

საბოლოო მარაგები

0 0

საერთო მოგება

1313510 760438

სხვა საოპერაციო შემოსავალი

0 0

დასაქმებულთა ანაზღაურება

-553900 -336985

ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-18511	-15140
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-77476	-69742
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-504034	-215223
სულ საოპერაციო ხარჯები	-1153921	-637090
საოპერაციო მოგება	159589	123348

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	94737	24767
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	254326	148115
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	254326	148115

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	254326	148115
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1245452	1122104
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-94737	-24767
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0

კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1405041	1245452
კვლევისა და განვითარების ხარჯები	0	0

შპს არქიტექსი,

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	31/12/2024 საანგარიშგებო პერიოდი	31/12/2023 წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	1409779	828943
საქონლის გაყიდვიდან	454068	445998
მომსახურების გაწევიდან სამშენებლო ხელშეკრულებებიდან სხვა	955711	382945
გაყიდვების თვითღირებულება საერთო მოგება სხვა საოპერაციო შემოსავალი	(96269) 1313510	(68505) 760438
დასაქმებულთა ანაზღაურება	(553900)	(336985)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო ხარჯი	(18511)	(15140)
იჯარის ხარჯი	(77476)	(69742)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი სულ საოპერაციო ხარჯები საოპერაციო მოგება	(504034) (1153921) 159589	(215223) (637090) 123348

შპს "არქიტექსი"ს დირექტორი-თ. აბულაძე

შპს არქიტექსი,

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

2024 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია - შპს არქიტექსი, საიდენტიფიკაციო ნომერი 402044836, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია 26.01.2017წ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, მისამართი-იურიდიული, თბილისი, დიდუბის რაიონი, აკ. წერეთლის გამზ., 99, ბ. 26 , ფაქტიური-ახალციხე, აღმაშენებლის 1.

საწარმოს მესაკუთრე და 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი ირაკლი აბულაძე, დირექტორი თეიმურაზ აბულაძე.

შპს არქიტექსი წარადგენს 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად და იგი წარმოდგენილია ქართულ ფულად ერთეულში-ლარი.

საწარმოს წინამდებარე ანგარიშგების მიზანია საჭირო ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელთა ფართო წრეს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა -შპს არქიტექსი, ს /ნ 402044836, საწარმომ, რომლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმას წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დირექტორთა საბჭომ დირექტორის თ. აბულაძის ხელმძღვანელობით, 2025 წლის 30 სექტემბერს გამოსაცემად დაამტკიცა 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის - 2024 წლის საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული მსს ფასს სტანდარტების გამოყენებით.

საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი დაშვებებია დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო. ანუ, საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შედეგების მისაღებად - შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება მოხდენისთანავე დარიცხვის მეთოდით. ასევე დარიცხვის მეთოდით აღიარებს საწარმო ფინანსური მდგომარეობის ელემენტების: აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის აღსარიცხავად, გარდა სალაროსა და ბანკის მონაცემებისა.

ასევე საწარმოს ეკონომიურ საქმიანობაში ძირითადი დაშვებაა ფუნქციონირებადი საწარმო, იფუნქციონიროს საწარმომ და ეკონომიკური სარგებელი მიიღოს მომავალ წლებში, რაც სარგებელს მოუტანს როგორც საწარმოს, მის დამფუძნებლებს, ასევე ქვეყნის ეკონომიკას.

კომპანიის საქმიანობის შესახებ საწარმოს ძირითადი საქმიანობებია: სხვა სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი, ასევე დეკორატიული და სამშენებლო ქვის დამუშავება-წარმოება შემდგომ სარეალიზაციოდ, ბეტონის პროდუქციის წარმოება სამშენებლო მიზნებისათვის, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა და მშენებლობაში გამოსაყენებელი სხვა სახეობის და სადურგლო ნაკეთობების წარმოება.

აღსანიშნავია, რომ საწარმოს ძირითადი და არაძირითადი საქმიანობები არის მრავალფეროვანი და ერთი მიმართულებით არ საქმიანობს. შპს არქიტექსი სამშენებლო მასალებიდან კი კონკრეტულად მუშაობს მასალის, კერძოდ ვულკანური წიდის გადამუშავებაზე და გადამუშავებულ პროდუქციას ყიდის და აღნიშნული გაყიდვებით კომპანიის შემოსავლებში მნიშვნელოვანი წილი სწორედ ამ გაყიდვებზე მოდის.

წილის დასამუშავებლად /დასაფქვავად/ საწარმოს დადებული აქვს ჩვეულებრივი, საოპერაციო საიჯარო ხელშეკრულება ფართზე, მეწარმესთან კარლენ მანასიან-თან, სადაც ამუშავებს ქვის სატეხ დანადგარს.

საწარმოს ეკონომიურ საქმიანობაში შედის ასევე ბაზალტის დაუმუშავებელი ქვის ლოდების შეძენა და შემდგომ მისი დამუშავება, სხვადასხვა სისქის ფილებად დამზადება და შემდგომ რეალიზაცია. და აღნიშნული გაყიდვებით კომპანიის შემოსავლებში მნიშვნელოვანი წილი ამ გაყიდვებზეც მოდის.

საწარმოს შემოსავლებში მნიშვნელოვანი წილი მოდის მეორადი ტექნიკური საშუალებების აღდგენისა და ტექნიკური რემონტის შემდგომ, ამ ტექნიკის იჯარით გაცემიდან, როგორიცაა ექსკავატორის, ბულდოზერის, დამტვირთველისა და გენერატორის საიჯარო მომსახურებებიდან.

კომპანიის საქმიანობებიდან მნიშვნელოვანია და ცალკე გამოსაყოფია ელგადამცემი ხაზების გადატანის მომსახურება და ამ საქმიანობიდან მიღებული თანხების აღიარება.

	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	1409779	828943
საქონლის გაყიდვიდან	454068	445998
მომსახურების გაწევიდან	955711	382945

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი და კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო კურსით. ასევე სავალუტო გაცვლითი კურსით არის წარმოდგენილი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე ანგარიშგების შედგენის დღისთვის - 31.12.2024

საანგარიშგებო პერიოდში კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისო სხვაობები აისახა მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში - მოგება-ზარალის საკურსო სხვაობიდან.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2024	2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	252489	258546

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები გადაისინჯება რათა განისაზღვროს არსებობს თუარა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნა არ არის ამოღებადი. ამ შემთხვევაში მოთხოვნა ექვემდებარება გაუფასურებას, მაგრამ კომპანიას ამ მეთოდით ჯერ არ უსარგებლია

მარაგები

კომპანიის სასაქონლომატერიალური ფასეულობები, რომლებიც ასახულია წინამდებარე 2024 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური მდგომარეობის აქტივებში მარაგების სახით, ძირითადად შედგება იმ დანადგარებისა და სპეცტექნიკისაგან რომელიც არის მეორადი, უმოქმედო, ასაწყობი და გაუმართავ მდგომარეობაში.

ასეთი მარაგების ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 540200 ლარს.

2023-2024 წლების განმავლობაში კომპანიამ დიდი ხარჯი გაწია აღნიშნული სპეც ტექნიკის გარემონტებასა და სამუშაო ფორმაში მოსაყვანად. მნიშვნელოვანი რაოდენობა ამ მარაგებიდან რემონტის შესრულების შემდეგ ჩადგა ფორმაში და ემსახურება კომპანიას მომსახურებების გაწევაში.

	31,12,2023	31,12,2023
მარაგები	576354	547346
აქედან - მზა პროდუქცია	18077	7209
სხვა მარაგები	558277	540137

მარაგების შეფასება ხდება თვითღრეზულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯები. თვითღრეზულება გამოითვლება სტანდარტებით გათვალისწინებული საშუალო შეწონილი /MIDL/ მეთოდის გამოყენებით

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია საბალანსო, ნარჩენი ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულებას დაკლებული აქვს ცვეთა. თვითღირებულებაში კი შედის და მოიცავს შეძენის ღირებულებასა და ყველა იმ დანახარჯს რომელიც გაწეულია აქტივზე მისი სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვახორციელდება მსს ფასს სტანარტებიდან გამომდინარე - წრფივი მეთოდის გამოყენებით , ანუ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით და მოცემულ აქტივზე დარიცხულია ცვეთა 10-15% ფარგლებში.

საწარმომ 2020 წლის ბოლოს ფიზიკური პირისგან შეიძინა მიწა მასზე მდებარე შენობით და ორივე აქტივი თავისი ღირებულებებით აღრიცხულია ცალცალკე. შენობა აღირიცხება დაუმთავრებელ მშენებლობაში, რადგან არის ნახევრად დაწგრეულ მდგომარეობაში და მისი დაწგრევის შემდეგ უნდა აშენდეს ახალი შენობა.

ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთები	98433
	დაუმთავრებელი მშენებლობა	141238
	მანქანა დანადგარები	40940
	ოფისის აღჭურვილობა	12999
	სატრანსპორტო საშუალებები	220675
	სულ გრძელვადიანი აქტივები	514285

საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას საიჯარო ხელშეკრულებები აქვს ჩვეულებრივი, საოპერაციო, გაფორმებული, წარმოადგენს მოიჯარეს, ეკონომიური საქმიანობისათვის გამოსაყენებელ ფართზე, სადაც მდებარეობს ვულკანური წიდის საფუძველი დანადგარი და ხდება მისი დამუშავება. ასევე საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებულია და კომპანიის დროებით სარგებლობაში არის გადაცემული სპეცტექნიკური საშუალებები. ეს ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს აქტივების გამოყენების უფლების გადაცემას ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხრიდან მეორესთვის.

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი წარმოადგენს გაუნაწილებელ მოგებას და საანგარიშგებო წლის განმავლობაში მოგება გაიზარდა და შეადგინს 1 405 041 ლარს.

საწარმოს საქმიანობის სფეროდან, გამოსაყოფია მიღებული შემოსავალი ვულკანური წიდის დამუშავება-რეალიზაციიდან და ტექნიკის იჯარიდან. საწარმომ ძირითადი საოპერაციო შემოსავლები მიიღო ისეთი მარაგების გაყიდვიდან რომელიც დააკომპლექტა, შეაკეთა, გაარემონტა და მისცა დროებითი საცხოვრებლის სახე, ასევე საოპერაციო შემოსავლებში შედის დამუშავებული სამშენებლო ქვის რეალიზაცია, შემოსავალი მომსახურებიდან არის სპეცტექნიკის გაქირავებით მიღებული შემოსავალი.

მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპანიის ამონაგები გაანგარიშებულია და აღიარებულია დარიცხვის მეთოდით, მყიდველზე საქონლის მიწოდებისა და საკუთრების უფლების გადაცემის შემდეგ.

ხარჯები

შპს არქიტექსის ფინანსურ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მოგება-ზარალის უწყისში სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს, გაყიდული საქონლის თვითღირებულებას, რომელიც განსაზღვრულია სტანდარტებით განსაზღვრული საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისა და მარაგების სარემონტო მასალებსა და სპეცტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების შეკეთების მასალებს.

ხარჯები აღიარდება გაწევისთანავე დარიცხვის მეთოდით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2024 სამეურნეო წელს კომპანიის მიერ დამფუძნებელზე გაცემულია დივიდენდი 94737 ლარის ოდენობით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების დასკვნა:

შპს არქიტექსის, ს/ნ 402044836, 2024 წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული სამეურნეო წლისათვის, დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორთა საბჭოს მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს, რომელსაც ხელმძღვანელობდა დირექტორი თეიმურაზ აბულაძე.

შპს „არქიტექსი“-ს დირექტორი -

თ. აბულაძე